№ 50 22 დეკემბერი **1872** 22 დეკემბერი № 50

გაზეთის ფასი:

| | გაგზავნით, | გაუგზავნელად |
|---|---|---|
| ერთის წლისა — | 6 მან. კაპ. | 5 მან. კაპ. |
| ნახევრის წლისა | 3 » » | 2 » » |
| სამი თვისა — | 1 » 75 | 1 » 50 |
| ერთის თვისა — | » » 60 | » » 50 |
| ცალკე ნომრის— | » » 12 | » » 10 |

განცხადებანი, «დროებაში» დასაბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით—ასოზე 1/4 კაპ.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეშვიდე

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში, ბებუთოვის სახლებში).

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты «ВРЕМЯ», при типографіи Г. Церетели.*

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

მომავალს 1873 წელს

«დროება»

გამოვა თავის ძველებური პროგრამმისა და მიმართულების შეუცვლელად, და იმავე თანამშრომელების დახმარებით, რომელნიც წარსულ წლებში იღებდნენ გაზეთში მონაწილეობასა.

ხელის-მოწერა

მიიღება—თფილისში—«დროების» რედაქციის კანტორაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში, სადაც დუბილიერის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბა იმყოფება.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან და სიმონ მესხთან.

სიღნაღს—რაჟდენ ციციშვილთან, თელავს—თ. ლევ. ჯანდიერთან, ყვარელს და ლაგოდეხს—ალ. მარჯანოვთან, ახალ-სენაკს—ნიკ. დგებუაძესთან, ონს—კ. კლდიაშვილთან, ფოთს—ზ. არუწოვთან, ყვირილას—დ. დამბაშიძესთან, ხონს—გ. ჩიქოვანთან და ოზურგეთს—მელიტონ ლოდობერიძესთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა აგრეთვე შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты «ВРЕМЯ.»

ხელ-მოსაწერი ფასი

| | გაგზავნით. მან. | გაგზავნით. კაპ. | გაუგზავ. მან. | გაუგზავ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ერთი წლისა — — — — — — — — | 6 | | 5 | » |
| ნახევარის წლისა — — — — — — — | 3 | 75 | 2 | 50 |
| სამის თვისა — — — — — — — | 1 | 60 | 1 | 50 |
| ერთის თვისა — — — — — — — — | 60 | » | » | 50 |

ახალ ხელის-მომწერლებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგვატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

ვთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერის ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა-თანვე გამოგვიგზავნონ.

რედაქტორი და გამომცემელი სერგეი მესხი.

შინაარსი:

რედაქციის განცხადება. — საქართველო:—გამომცემელთ საზოგადოება,— წვრილი ამბები.—«დროების» კორრესპონდენცია: რაჭიდამ.—რუსეთი: მოსკოვიდამ («დროებ.» კორრესპ.),— წვრილი ამბები.— უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,— ესპანია,— იტალია,— ინგლისი.—რა ახდენს ღვინოს და როგორ უნდა იმას შენახვა.—სამართალი: გაბ. ანდრონიკოვისა და ანტ. ფალიევის საქმე.—ნარევი. განცხადებანი.

# საქართველო

გამომცემლების საზოგადოება

ჩვენს საუკუნეში ყველასთვის ცხადი შეიქნა ის ჭეშმარიტება, რომ როგორც განცალკევებული კაცისა, აგრეთვე მთელი ხალხის მეცადინეობა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ რაც შეიძლება მომატებულ კეთილ-დღეობამდინ მიაღწიოს. ერთი დრო იყო, როდესაც ზოგიერთი მოძღვარნი უქადაგებდნენ ადამიანს, რომ, თუ ნეტარება გინდა, შენი სიცოცხლე კვნესა-ოხრაში, წვალებაში და შენი სხეულის ბუნებითი მოთხოვნილებების დადუმებაში უნდა გატარო. მართალია, ზოგიერთს შემთხვევაში ჩვენ ახლაც საქებად მიგვაჩნია კაცისათვის, როდესაც ის რომელიმე კეთილშობილური აზრისათვის წვალებასა და ბევრ უბედურებას ითმენს სიცოცხლეში; მაგრამ ყოველ კეთილ-გონიერ კაცს ყოველთვის თავის თავისა და თავის საზოგადოების კეთილ-დღეობა უნდა ჰქონდეს სიცოცხლის მიზნათ და არა ისეთი რამ საგანი, რომლის შეხება და გრძნობა ცოცხალი კაცისათვის შეუძლებელია.....

მაშ ეგრე, ყოველი კაცობრივი კაცი თავის თავისა და თავის საზოგადოების კეთილ-დღეობას უნდა სცდილობდეს. ეს ისეთი დაურღვეველი ჭეშმარიტებაა, რომელსაც ბევრი განმარტება არა სჭირია. მეორე ეგრეთივე ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ ამ კეთილ-დღეობამდი მისაღწევნელად ადამიანს ყ ელაზე უფრო ორი რამე სჭირია: განათლება და კარგი ეკონომიური მდგომარეობა, რომელნიც გადაბმულნი და დაკავშირებულნი არიან ერთმანეთზე: გონება—დახშული, მაგრამ მდიდარი კაცი ვერასოდეს ვერ იგრძნობს იმ კეთილ-დღეობასა და ნეტარებას, რომელიც კაცურ კაცს შეჰფერის; აგრეთვე არ იქნება სიცოცხლის კმაყოფილი არც ის ბრძენი, რომელსაც, თუმცა გონება განათლებული აქვს, მაგრამ კუჭი კი შიმშილით ეწვის...

ამ სტატიაში ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ ერთს იმ საშუალებათაგანზე, რომლის შემწეობითაც ხალხში ვრცელდება ხოლმე განათლება (ეკონომიურ მხარეს დღეს არ შევეხებით).

ჩვენ რომ განათლებული ხალხების ისტორიულ ცხოვრებას და იმათში განათლების გავრცელებას გადავავლოთ თვალი, ყველგან ერთსა და იმავე მოვლენას შევნიშნავთ: განათლება ვრცელდება ჯერ საზოგადოების მხოლოთ ერთს ნაწილში, იმ ნაწილში, რომელიც ნივთიერათ უფრო დაკმაყოფილებული და დაწინაურებულია. შემდეგ განათლების სხივი ცოტ-ცოტათი დანარჩენ საზოგადოების წევრებსაც ეფინება და როდესაც რომელიმე ხალხის მომეტებული ნაწილი იმდენათ განათლებულია, რომ წერა-კითხვა მაინც იცის თავის მშობლიურ ენაზე, მაშინ ამისთანა ხალხს ჩვენ განათლებულ ხალხს ვეძახით.

სხვა და სხვა ათასგვარ სახსრებს შორის—რომელნიც ეხმარებიან რომელსამე ხალხში განათლების მოფენას, ჩვენ გვინდა გავაჩეროთ დღეს მკითხველის ყურადღება მხოლოთ ერთზე—«გამომცემლების საზოგადოებაზე»,—რომელსაც ამ საქმეში უპირატესი მნიშვნელობა აქვს.

ყველასთვის ცხადია, რომ ვერც კარგი სასოფლო შკოლები და ვერც სწავლაში განვითარებული მასწავლებელნი ვერ მოჰფენენ ხალხში, არა თუ განათლებას, არამედ ვერც უბრალო წერა-კითხვის ცოდნას, თუ იმათთვის ცოტათი მაინც არის რიგიანი სახელმძღვანელო წიგნები არ მოიპოვება. უწიგნოთ კარგი მასწავლებელიც ვერას გაარიგებს სახალხო შკოლაში და რიგიანი სახელმძღვანელო წიგნების დახმარებით კი ცუდი მასწავლებელიც ბევრ სარგებლობას მოუტანს.

ყოველი მხრიდამ გვესმის ჩვენ, რომ ქართულ ენაზე სახელმძღვანელო წიგნები თითქმის სრულიად არ არისო და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ სასოფლო შკოლებში სწავლა მძიმეთ მიდისო.

ეს სრულიად მართალია: გოგებაშვილის «ანბანს» გარდა და იმისივე «ბუნების კარს» გარდა, ქართულს ენაზე არცერთი ისეთი წიგნი არ მოიპოვება, რომელიც სახალხო შკოლებში გამოსადეგი იყოს და რომელსაც კაცს შეეძლოს სახელმძღვანელო დაარქვას. ჩვენს ენაზე არ არის არც არითმეტიკა, არც სამშობლო და საზოგადო ისტორია, არც გეოგრაფია, არც სამღთო წერილი და არც სხვა ყოველი შკოლისათვის აუცილებლად საჭირო სახელმძღვანელოები. ამას ისიც დაუმატეთ, რომ საზოგადოთ ჩვენ ცოტაოდენს სახალხო შკოლებს სხვაფრივაც ძლიერ მცირე ღონის-ძიება აქვსთ, ღარიბნი არიან, და რიგიანი მასწავლებლების მაგივრათ ხშირათ გადამდგარი სალდათები აწარმოებენ იმათში განათლების საქმეს,--გაიხსენეთ ყველა ეს და მაშინ წარმოიდგენთ და გაიგებთ—თუ რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ჩვენი თითო-ოროლა სახალხო შკოლები, რომელნიც აქა-იქ არიან გამართულნი ...

ამის შემდგომ რათ უნდა ვჩიოდეთ და ვის უნდა უჩიოდეთ, თუ ჩვენ გაუნათლებელნი და გონება—დახშულნი ვართ? ვის უნდა დავაბრალოთ, თუ ამ გონება-გაუხსნელობისა და უმეცრების წყალობით, ჩვენ ვერ გვისარგებლნია ჩვენი ბუნებითი სიმდიდრით და ღარიბები ვართ? უეჭველია, ამაში მომეტებულ ნაწილათ თვითონ ჩვენვე ვართ დამნაშავენი ჩვენ არ უგდებთ ყურს ჩვენ საზოგადო მოთხოვნილებასა და საჭიროებას.

ყველა ეს აზრები იმიტომ გამოვსთქვით, რომ მკითხველმა ადვილათ გაიგოს და თანაუგრძნოს ჩვენს წინადადებას. ეს წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ შევადგინოთ ისეთი საზოგადოება ანუ წრე, რომელსაც მიზნათ ხალხში განათლების გავრცელება ექნეს. ჩვენის აზრით, პირველი და უმთავრესი მეცადინეობა ამ საზოგადოებისა უნდა იყოს ის, რომ სასოფლო შკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნები გამოსცეს.

რასაკვირველია, ამ საქმისათვის ღონის-ძიებაა საჭირო; უღონის-ძიებოთ არავითარი საქმე არ გაკეთდება. მაგრამ ამგვარის წიგნების გამოცემას იმდენი ფული და საზოგადოთ მატერიალური შემწეობა არ დასჭირდება, რამდენიც ზნეობითი დახმარება და საზოგადო საქმისათვის ხელის-მომართვის სურვილი....

ს. მ.

«დროების» მე-48 ნომერში დაბეჭდილი იყო გაგზავნილი ამბავი, რომ ჩვენმა ქალაქმა, თ. ი. თუმანოვის პირით, სთხოვა დიდ მთავარს ნამესტნიკს, რომ იმის კავკასიაში ათი წლის ყოფნის სასსოვრათ, მიეცეს ქალაქს ნება, ნამესტნიკის სახელობაზე, თფილისში სახელოსნო სასწავლებელი გახსნას უბრალო ხალხის შვილებისათვის, თავის საკუთარის ხარჯით. ახლა გაზ. «კავკაზს» 147 ნომერში დაბეჭდილია უფ. ი. თუმანოვის სიტყვა, რომელიც იმას დიდი მთავრისათვის უთქვამს ამ დღესასწაულობის დროს და რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ეს სასიამოვნო ამბავი სრულიად მართალი ყოფილა. მოგვყავს ამ სიტყვიდამ ის ადგილი, რომელიც ზემოხსენებულ საგანს შეეხება:

«ამ ჩვენ წრფელ განცხადებას გალად ვრაცხთ დაუმატოთ, რომ თფილისის ქალაქის საზოგადოებამ ამ წლის 23 ნოემბერს დაადგინა: მოვაგროვოთ ხელის-მოწერით სახლის ასაშენებელი ფული და ქალაქის შემოსავლიდამ ყოველ წელიწადს ათასი თუმანი გადავდვათ, რომელიც «მიხაილოვის სახელოსნო სასწავლებელს» მოვახმაროთ, რომლის წესდებულებასაც ამასთანავე წარმოუდგენთ თქვენს უმაღლესობას განსახილველად.»

ბაქოს ქალაქის დეპუტატებს, რომელნიც ამ დღესასწაულებაზედვე იყვნენ აქ, უშუამდგომლებიათ აგრეთვე კავკასიის ნამესტნიკთან, რომ მათ მი-

ცეს ნება, ქ. ბაქოში გამართონ «მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი ს ხ ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო,» რომლისთვისაც ქალაქს თავის შემოსავლიდამ წელიწადში ოთხასი თუმანი გადუდვია.

დიდს მთავარს კავკასიის ნამესტნიკს დიდის სიამოვნებით მოუსმენია ეს ორივე თხოვნა და უთქვამს, რომ «ამაზე უკეთეს საჩუქარს თქვენ მე ვერ მიმღვნიდითო.»

***

ამბობენ, რომ ქუთაისის გუბერნიის აზნაურობისაგან ამორჩეული კომიტეტი, ბანკის პროექტის შესადგენათ, ამ უკანასკნელ დროს ხშირათ იკრიბება და ცდილობს როგორმე შეასრულოს თავის მოვალეობა, ე. ი. ბანკის წესდებულება შეადგინოს. ღმერთმა ინებოს, რომ ამ კომიტეტს კეთილად შეესრულებინოს ეს საზოგადო საქმე. მართალია, გვიან კი მოუფიქრნიათ საქმის ხელის მოკიდება, მაგრამ სულ არაობას, გვიან გაკეთება სჯობია. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

***

ამბობენ, რომ სპარსეთის შაჰი მომავალ წელს ევროპის გამოფენაზე წასვლას ემზადებაო და აპრილში ჩვენს ქალაქში გაივლისო.

***

წასულ კვირაში კავკასიის მთებზე დიდი თოვლი მოსულა ასე, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში კობსა და გუდაურს შუა სრულებით შეუკრავს გზა. ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ წასულ კვირას ოთხი დღის განმავლობაში რუსეთიდამ ჩვენში ფოშტა არ მოსულა.

***

ჩვენ გავიგონეთ, რომ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებას ბანკის ზედამსედველი კომიტეტის წევრებად შემდეგი პირები ამოურჩევია: თ ფ ი ლ ი ს ი ს უეზდისათვის: თ. დ. მაღალაშვილი და თ. დ. სუმბათოვი; დ უ შ ე თ ი ს: თ. გ. რ. ერისთავი და უ. გ. ყაზიბეგი; გ ო რ ი ს: თ. ი. ერისთავი და კ. ქ. მამაცაშვილი; ს ი ღ ნ ა ღ ი ს თ ვ ი ს: თ. ი. ორბელიანი და თ. ი. ანდრონიკოვი და თ ე ლ ა ვ ი ს უ ე ზ დ ი ს ა თ ვ ი ს: თ. დ. ჯორჯაძე და თ. ივანე ჭავჭავაძე.

## «დროების» კორრესპონდენცია

რაჭიდამ, დეკემბრის 8-ს.

რაჭველები დარბაისლობითა და ქეიფის მოყვარეობით არასოდეს არ ყოფილან სახელგანთქმულნი, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს მაინც აქ, რაც ცოტა შექცევა და ქეიფი იცოდნენ, ისიც მოისპო: დადგა დრო პრაქტიკული; ყოველი კაცი დაღონებულია, პირუტყულმა გრძნობებმა წინ წამოიწიეს, რაჭველების განთქმული პატიოსნება თან და თან ჰქრება, ცრუ-მორწმუნეობა და ეშმაკობა მრავლდება და ქურდობა გახშირდა.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის, რომ ამ უკანასკნელ დროს მშვიდობიან რაჭველებში გახშირდა საჩივრები სულ მცირე საქმეებზედა. მაგალითს მოვიყვან: ერთს შეძლეე კაცს ერთი ღარიბი კაცისათვის ოთხი ფიცარი მიებარებია. ეს ღარიბი კაცი მომკვდარიყო. მის ცოლ-შვილს კუბოს გასაკეთებელი ფიცრები ვერ ეშოვნა, და ის ფიცრები მოეხმარათ. აკი უჩივლა იმ წყეულმა სუდში. მოსამართლეს რა ექნა, კანონისამებრ საქმე უნდა გაეთავებინა. იქნება საქმე იქამდი მივიდეს, რომ კუბო მკვდარს წაართვან და სახალხოთ გაყიდონ. მე მყავდა ერთი სახლის-კაცი, რომელიც ამ ათი-თუთხმეტი წლის წინათ დიამბეგათ იყო. იმასთან რომ ესრეთი მომჩივარი მისულიყო, როგორც ზემოთ ვთქვით, პანღურებს მიაყოლებდა და ეტყოდა: შეგარცხვინა ღმერთმა, რომ ამისთანა საჩივრებს კადრულობო!» ამას იზამდა, თუმცა არცერთი სიტყვა მას არ სცოდნებია სხვა ენებისა და არც მართლ-მსაჯულება იცოდა ევროპიელის სახელმწიფოებისა...

ონის ქალაქი დიდი არა იყორა, მაგრამ ჩვენთვის ის პარიჟის ქალაქს სჯობდა. მაგრამ რაც იყო, იყო, ეხლა კი აღარა არის რა, რადგან თავიდგან დაწყებული ბოლომდისინ დაგვეწვა უეცრად. ეხლა რომ ნახოთ ეს ჩვენი ქალაქი, საცოდავი რამ არის: ქალაქის მაგივრათ მხოლოთ ნახშირი და დამტვრეული ქვები ყრია ქუჩის იქით-აქეთ მხარეზედ. გარუჯული ბუხრები საცოდავათ აშვერილან აქაიქ. მოხუცებული დედა-კაცები კვნესა-ოხვრით დადიან გადამწვარს ადგილზედ და ეძებენ ნახშირში თუ ლურსმებს და თუ რკინების ნამტვრევებს და უწყალოთ იწყევლებიან: «ღმერთო, ასრე დაოხრე მისი ცოლ-შვილი და საცხოვრებელი, ვინც ჩვენ ასრე დაგვაოხრაო!» მაგრამ ეხლა წყევლის ვილას ეშინიან...

სოფლებში ქურდობა გახშირდა, ბეღლების ტეხა დაიწყეს. ვინც მარტოხელათ არის, კანკალებს შიშით, თავს დასხმის ეშინიათ და ამის გამო თოფ-იარაღი მზათა აქვთ. კიდევ კარგი ბედია რაჭველებისა, რომ ჯგუფ-ჯგუფათ სახლობენ.

წელს უწერის წყალზედ ბევრნი იყვნენ ჩვენებური განათლებული და გაუნათლებელი ქალნი და კაცნი; ბევრი იყვნენ გასათხოვრათ დამზადებული ქალები..

დ. ონი                ს....შვილი.

# რუსეთი

მოსკოვიდამ, დეკემბრის 1-ს.
(«დროების» კორრესპონდენცია)

უფ. რედაქტორო! მე ვიცი, რომ თქვენ სიამოვნებით აძლევთ თქვენს გაზეთში ადგილს ისეთს ამბებს, რომელშიაც საზოგადოებისათვის ზრუნვა და ღარიბი მოძმეების შემწეობა სჩანს, და ამის გამო გაცნობებთ ერთს ამგვარ მოქმედებას. ამას წინათ თქვენს გაზეთშიაც იყო მოკლე ამბავი ლიაპინის სახლის თაობაზე. აქ მე მინდა ცოტათი უფრო დაწვრილებით აგიწეროთ ამ სახლის ვითარება.

მოსკოველმა ვაჭარმა ლიაპინმა აგერ წელიწადია, რაც ააშენა ამ ქალაქში ერთი კარგი სახლი, რომელშიაც ღარიბ სტუდენტებს მისცა მუქთად ოთახები; ამასთან ქვეშ-საგებიც ამ კაცისაა და სანთელიც, რაც კი მოუნდებათ აქ მცხოვრებ სტუდენტებსა. იქვე არის საზოგადო ზალა, სადაც სტუდენტებს შეუძლიანთ პური, ჩაი და შაქარი იყიდონ კარგი და უფრო იეფად, ვიდრე დუქნებში. ამ საზოგადო ზალაში არიან ყოველგვარი რუსული გაზეთები, რომლებსაც უ. ლიაპინი განსაკუთრებით სტუდენტებისათვის იწერს. გარდა ამისა სხვებ კიდევ რაც შეიძლება უ. ლიაპინი სულითა და გულით მონდომილია შემწეობა მისცეს მათ, მაგალითად, უროკები უშოვნოს და სხ.

ამ ნაირათ იყო აქამდის. ამ უკანასკნელ დროს უ. ლიაპინმა კიდევ ბევრი რამ შემოუმატა ამ კეთილ საქმეს. იქვე საგოგადო ზალასთან გამართა სამზარეულო, სადაც ამზადებინებს იქ მდგმური სტუდენტებისათვის სადილს. ეს სადილი, შეთანსწორებით სხვა სამზარეულოებთან, ძლიერ იეფია. სადილი შესდგება ორი თავი საჭმელისაგან და ღირს სამი შაური. ამ ფასათ სხვა ადგილზე ამისთათანა სადილის შოვნა არ შეგიძლიათ. ზოგიერთებს, რომელნიც ძლიერ ღარიბნი არიან, კი მუქთი სადილი ეძლევათ. გარდა ამისა სტუდენტებს ახლა შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, რომელიც უფ. ლიაპინს აქვს თავის სადგომ სახლში.

ყველასთვის ცხადია, რომ ეს საქმე დიაღ შესანიშნავი და სამაგალითო საქმე არის. ჩვენ გვესმის, რომ უ. ლიაპინისთვის წაუბაძავს ვიღაცას: ამბობენ, რომ უნივერსიტეტის ახლოს ვითომც სახლი შენდებოდეს ღარიბი სტუდენტებისათვისო. ღმერთმა ქნას, რომ ეს ხმა გ ამართლებულიყოს.

სამწუხაროთ უნდა ვსთქვა, რომ ხშირათ ამგვარი შემწეობით ვერ სარგებლობენ ისეთი სტუდენტები, რომელთაც ყველაზე უფრო ეჭირებათ შემწეობა, და სარგებლობენ ისეთნი, რომელნიც იმდენათ შეძლებულნი არიან, რომ საზოგადოების შემწეობა მათ არ ეჭირებათ. ერთი ამისთანა მაგალითი ლიაპინის სახლში მდგარ სტუდენტებშიაც იყო: აქ იდგა ერთი ყმაწვილი, რომელსაც ორი სტიპენდია ეძლეოდა, ასე რომ თვეში ორმოცორმოცდა-ათ მანეთამდე ჰქონდა. ამისთანა ყმაწვილები თავის საშუალებას ლოთობაში და სხვა უხეირო რამეებში აბნევენ და მერე სხვებს ართმევენ ლუკმა-პურსა და სწავლის საშუალებასა. ასე რომ, რომ უნდა, იმდენი ღარიბი არ არის აქ. რასაკვირველია, ეს არ არის უ. ლიაპინის სურვილი. სურვილი მას კარგი აქვს, კეთილი საქმე მოახდინა, მაგრამ უსინიდისოები სარგებლობენ ამითი. ეს ძლიერ სამწუხაროა.

იტყვის კაცი: ამისთანა დიდ ქალაქებში, სხვა საშუალებას გარდა, უროკებს იშოვნიან ღარიბი სტუდენტებიო. უროკები, მართალია, აქ ბევრია, მაგრამ აქაც ხშირათ დაბრკოლება ხვდებათ წინ ღარიბებს: თუ ძლიერ კარგათ გამოპრანჭული არა ხართ, თუ სუფთა და ძვირფასი ტანისამოსი არ გაცვიათ, ტყუილა ნუ ფიქრობთ უროკების შოვნას. მაგრამ გამოპრანჭული რომ ვიყო, კარგა ჩაცმა და დახურვა რომ შემეძლოს, მაშინ უროკებსაც აღარ გამოვეკიდები.. . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ხვიმეონ ხაბინინი.

ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან, რომ სამარის ღუბერნატორისათვის წარუდგენიათ დასამტკიცებელათ «ხალხში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგაოოების» პროექტი, რომელზედაც ოკ კაცსა და ქალს აქვთ ხელი მოწერილიო. ამ საზოგადოების დანიშნულება სხვათა შორის ის იქნება, რომ ხელი მოუმართოს და რითაც შეიძლება შეეწიოს სამარის გუბერნიის სასოფლო შკოლებს, გახსნას ახალი სასოფლო შკოლები, გაავრცელოს ხალხში სასარგებლო და იეფი წიგნები და სხ.

***

«მმართებლობის მოამბეში» დაბეჭდილია აღმოსავლეთი ციმბირის ღენერალ ღუბერნატორის ცირკულიარი, რომლიდამაც სჩანს, რომ ამ მხარის ყოველს უწყებაში მუდმივი უწესოება სუფევს. ერთი რუსული გაზეთი ამბობს ამის თაობაზე, რომ, სანამ ციმბირში და სხვა გუბერნიებშიაც ისეთსავე წესებს არ შემოვიღებთ, როგორც დანარჩენ რუსეთში არის (ახალი სასამართლოები, ერობა და სხ.), მანამ ამ მხარეებში წესიერების მკვიდრათ დაფუძნებას არ უნდა მოველოდეთო.

***

ეკატერინოსლავის გუბერნიის ერობაში ერთს წევრს წინადადება შეუტანია, რომ რადგანაც ჩვენს სასოფლო შკოლებში შაგირდები არ დაიარებიანო და იმათი მშობლები ამ სამწუხარო გარემოებას ყურს არ უგდებენო, ამის გამო მმართებლობას ვსთხოვოთო, რომ ჩვენ უფლება მოგვეცეს, რომ ჯარიმა გადავახდევინოთ ისეთს მშობლებს, რომელნიც შვილებს არ გამოგზავნიან შკოლებშიო. მაგრამ ერობის კრება არ დათანხმებულა ამ წინადადებაზე, რადგან ეს განკარგულება უფრო დააღარიბებს უიმისოთაც ღარიბს ჩვენებურ გლეხსაო. ამის მაგივრათ, კრებას გადაუწყვეტია მმართებლობასთან შუამდგომლობა, რომ ის გლეხები, რომელნიც სასოფლო შკოლაში სწავლას შეასრულებენ, სხეულის დასჯისაგან (როზგისაგან) განთავისუფლებულნი იყვნენო; ეს წაახალისებს გლეხებს სწავლაშიო..

***

ნოემბრის 30-ს მოსკოვში გაუხსნიათ და უკურთხებიათ ახალი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომლის დანიშნულება ის იქნება, რომ სახალხო შკოლებისათვის რიგიანი და მცოდნე მასწავლებლები მოამზადოს.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

მკითხველმა იცის, რომ მარცხენა მხრის მანიფესტისა და გაზეთების ქადაგებით, ამ უკანასკნელ დროს თითქმის მთელი საფრანგეთიდამ მოდიოდა ნაციონალურ კრებას ადრესები, რომლებშიაც ხალხი აცხადებდა, რომ ახლანდელი ნაციონალური კრება დაითხოვნილი უნდა იქნესო. ამ ადრესების გამოისობით, დეკემბრის 12 ნაციონალურ კრებაში ერთს მარჯვენა მხრის დეპუტატს წინადადება შეუტანია, რომ ეს ადრესები ზევ განვიხილოთ და ამის თაობაზე ჩვენი აზრი გამოვსთქვათო. «დაე, მაშინ წამოდგნენ ამ პალატის მოწინააღმდეგენი და თუ გაბედვენ, ტრიბუნიდამ წარმოსთქვან ჩვენი გამამტყუნებელი საბუთებიო!» ასე გაათავა თავის სიტყვა ამ მარჯვენა მხრის დეპუტატმა და ამ დროს გამბეტას მხრისკენ (მარცხნით) იყურებოდა. «თანახმა ვართო, თანახმა ვართო!» დაიძახა გამბეტამ. «ტრიბუნაზე ადი, ტრიბუნაზეო!» მიაძახეს მონარხიელებმა. გამბეტა ავიდა ტრიბუნაზე (კათედრაზე) და მაღალი ხმით წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: «ჩვენც გვსურს, რომ ამ საგანზე კრებამ რაც შეიძლება მალე მოილაპარაკოს! განა მარტო ახლა, ჩვენ მუდამ ვთხოულობდით, რომ კრებას განეხილა ეს საგანი, მაგრამ ყოველთვის უარს გვეუბნებოდით; ახლა, როდესაც მთელი საფრანგეთის საზოგადო აზრი თქვენ წინააღმდეგ არის, როდესაც მთელმა საფრანგეთმა გამოაცხადა თქვენზე უკმაყოფილება, ჩვენც თქვენსავით მოუთმენელათ მოველით ამ საქმის განხილვას. ჩვენ გვინდა გადაწყვეტილი ამბავი შევიტყოთ. მაშ შაბათამდი!»

ამ სიტყვის შემდეგ, კრებაში ხმაურობა და ყვირილი შეიქნა.

რა ამბავი მოხდა კრებაში შაბათს, ე. ი. დეკემბრის 2 (14), ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით. ტელეგრამამ შეგვატყობინა მხოლოთ, რომ ამ დღეს გამბეტას წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ახლანდელი კრების დათხოვნას მთელი საფრანგეთის ხალ

ხი თხოულობსო. ამის დასამტკიცებლად, იმას მოეყვანა ურიცხვი ადრესები პროვინციებიდამ და წარედგინა თითქმის ერთი მილიონი კაცისაგან ხელ-მოწერილი თხოვნა. გამბეტას გარდა ეს ვე აზრი ლუი-ბლანსაც გამოუთქვამს. ოდიფრე პაკიეს (მარჯვენა მხრის დეპუტატს) ულაპარაკნია რადიკალური პარტიის წინააღმდეგ და სხვათა შორის კონსერვატორებისთვის ურჩევია, რომ შეეერთდეთ და თანხმობით ემოქმედოთ, თორემ რადიკალები დაღუპამენ საფრანგეთსაო.

ეს ამბავი მომხდარა დილის სხდომაში. სალამოს წარმოუთქვამს სიტყვა იუსტიციის მინისტრს დიუფორს, რომლიდამაც ცხადათ სჩანს, რომ მმართებლობას ამ საქმეში კონსერვატორების მხარე დაუჭერია. დიუფორმა პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ ნაციონალური კრების დათხოვნა ახლა არ შეიძლებაო «სანამ გამბეტა საეროში წავიდოდა და თავის სიტყვებს წარმოსთქვამდაო, სთქვა დიუფორმა, მანამ საფრანგეთში მშვიდობიანობა არსობდაო. ნაციონალური კრების დათხოვნა ახლა უეჭველად აალელვებს ხალხსაო.» ნაციონალური კრების კონსერვატორები ამ სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა. ამ სიტყვის შემდეგ, კრებამ, მმართებლობის წინადადებით, 691 ხმიდამ 490 ხმის უმეტესობით (201 ხმაზე) გამოაცხადა სურვილი, რომ სხვა საგნების მოლაპარაკებას შეუდგეთო; ეს იმას ნიშნავს, რომ მარცხენა მხრის წინადადებას (კრების დათხოვნის თაობაზე) ნაციონალურმა კრებამ ყური არ ათხოვა.

ამ ძლიერ შესანიშნავ სხდომის თაობაზე და აგრეთვე იმ შედეგზე, რომელიც იმის გადაწყვეტილებას მოსდევს, ჩვენ მკითხველს შემდეგ ნომერში უფრო დაწვრილებით მოველაპარაკებით.

ზოგიერთს გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ ტიერი უკმაყოფილოთ დარჩა იმ სიტყვაზე, რომელიც მინისტრმა დიუფორმა 2 დეკემბერს წარმოსთქვა ნაციონალურ კრებაშიო; მაგრამ სხვა გაზეთებიდამ ვტყობულობთ, რომ ეს სულ ტყუილი ხმებია: წინააღმდეგ ამისა ამბობენ, რომ ტიერი სრულიად თანაუგრძნობს დიუფორისაგან წარმოთქმულ აზრსაო; ამას წინათ იმან პირ-და-პირ გამოუცხადა რამდენსამე მარცხენა მხრის დეპუტატს, რომ ნუ აალელებთ ხალხსაო, ნაციონალური კრების დათხოვნა ჯერ-ჯერობით შეუძლებელი საქმე არისო. ამგვარათ საქმის გათავების შემდეგ, არ ვიცით—როგორი განწყობილება იქნება ტიერსა და მარცხენა მხრის პარტიის შუა.

ამ კეთილ განწყობილებას და თანხმობას კიდევ უფრო შეარყევს ის სიტყვა, რომელიც ტიერს 7 (16) დეკემბერს წარმოუთქვამს იმ კომისიაში, რომელიც კონსტიტუციურს რეფორმებზე მოსალაპარაკებლად არის ამორჩეული. ამ კომისიის სხდომაში ტიერს სხვათა შორის უთქვამს, რომ «ჩემს ეპისტოლეში მე სრულიად გადაწყვეტით არ მითქვამსო, რომ ჩვენთვის ამ ჟამად მაინცა და მაინც რესპუბლიკა არის საჭიროო; მე მხოლოთ ვამტკიცებდიო, რომ აუცილებლად საჭიროა, დახლართული საქმეების სისრულეში მოყვანა და გასწორებაო» ცხადია, რომ მარჯვენა მხრისაგან შეშინებული ტიერი უარ ჰყოფს იმ სიტყვებს, რომელიც ამას წინათ იმან თავის ეპისტოლეში წარმოსთქვა, რადგან მაშინ იმან პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ «საფრანგეთს ამჟამად მხოლოთ რესპუბლიკური მმართებლობის დაფუძნება დაიხსნისო.»

## ესპანია

თუმცა მმართებლობის გაზეთებში მუდამ იწერებიან, რომ ესპანიის ყველა პროვინციებში მშვიდობიანობა არისო, მაგრამ, როგორც სხვა გაზეთებიდამ სჩანს, ამ ოფიციალური გაზეთების დარწმუნებას საფუძველი არა აქვს. მართლაც, მმართებლობის ჯარებს ჯერ კარლისტების მოძრაობაც არ დაუწყნარებიათ: ზოგიერთ პროვინციებში, როგორც ამბობენ, ჯგუფ-ჯგუფათ დაიარებიან თურმე კარლისტები და აწუხებენ მცხოვრებლებსა და მმართებლობის ჯარებს.

ამას გარდა ამ უკანასკნელ დროს ესპანიის ზოგიერთს ალაგებში რესპუბლიკური მოძრაობა ატყდა, რომელთაც ახლანდელი კაროლის, ამედეის, გადაყენება და ფედერატიული რესპუბლიკის დაფუძნება განუზრახავთ. დეკემბრის 12 (ნოემბრის 30) ამ რესპუბლიკელებს მადრიდის აჯანყება მოუნდომებიათ და ერთს ალაგას, ქალაქს გარეთ, მმართებლობის ჯარებს დასცემიან, მაგრამ დამარცხებულან. ამბობენ, ამ შეტაკების დროს ორივე მხრით 20 კაცი მომკვდარა და მძიმეთ დაჭრილაო. ამ ამბვის თაობაზე, მეორე დღეს მინისტრმა, მარტოსმა, სთქვა ესპანიის კორტესებში, რომ როგორც ამ შემთხვევას, ისე საზოგადოთ ეხლანდელ რესპუბლიკურ მოძრაობას არავითარი საშიშო მნიშვნელობა არა აქვსო, და იმედია, რომ მმართებლობა მალე დაიმორჩილებს განდგომილებსაო.

## იტალია

მკითხველს ეხსომება ის ახალი კანონი გერმანიის მმართებლობისა, რომლის ძალითაც იეზუიტებს აეკრძალათ გერმანიაში ცხოვრება და წაერთვათ უფლება შკოლების გახსნისა, და საზოგადოთ შაგირდების ყოლისა. ამ სასარგებლო განკარგულების თაობაზე, გ ა რ ი ბ ა ლ დ ი მ ერთს თავის ნემეც მეგობარს შემდეგი წიგნი მისწერა:

«კ ა პ რ ე რ ა 3 დ ე კ ე მ ბ ე რ ს. საყვარელო მეგობარო! თუმცა მე ომიანობის მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ იმ სამწუხარო მდგომარეობის გამოისობით, რომელშიაც იმყოფება ახლანდელი საზოგადოება, მე იძულებული ვიყავი მებრძოლა. ჩვენი თანამედროვე საზოგადოება შეიძლება ორ ნაწილათ გაიყოს: დამჩაგვრელებად და დაჩაგრულებად. 1870 წელს მე იმიტომ დავიჭირე საფრანგეთის რესპუბლიკური დროშის მხარე, რომ დემოკრატი ვარ, მაგრამ ჩემთვის ძლიერ საწყენი იყო, რომ კეთილშობილ გერმანიის ხალხთან შემემთხვა ბრძოლა. მე მალიან კარგათ ვაფასებ გერმანიის ხალხის მოღვაწეობას განათლებისათვის; განსაკუთრებით მე თაყვანს ვსცემ გერმანიას იმისთვის, რომ იმან მოუღო ბოლო იმ სიბნელის მომცემ სულს, რომელსაც იეზუიტიზმს ეძახიან. თუ თქვენ ამ გზას არ ასცილდებით, ჩვენი თანაგრძნობა მუდამ თქვენკენ იქნება და ჩვენი გზები ერთმანეთს შეხვდებიან. ჯუზეპპე გარიბალდი.»

## ინგლისი

დეკემბრის პირველა რიცხვებში ერთს ირლანდიის ქალაქში ამორჩევა ყოფილა დეპუტატისა და ამოურჩევიათ უფ. რონენი; ეს რონენი იმ პარტიას ეკუთვნის, რომელსაც ირლანდიის განთავისუფლება ჰსურს. ამორჩევის შემდეგ, რონენმა დაუმადლა თავის ამომრჩევლებს და სხვათა შორის სთქვა, რომ «ჩემი ამორჩევა იმას მოასწავებსო, რომ ირლანდიის ხალხს ჰსურს, თავის საკუთარი საქმეების გამგეობა თვითონ იმას ეკუთვნოდეს და არა ინგლისსაო.» შემდეგ იმან დაუმატა, რომ «ჩემი მეცადინეობა მხოლოთ ის იქნება, რომ შეუერთდეს თავის სამშობლოს განთავისუფლების მზრუნველ ირლანდიელებსა და ისეთ ნაირათ წაიყვანოს საქმე, რომ ინგლისმა გაანთავისუფლოს ირლანდია თავის დამოკიდებულებისაგან და იცნოს ის ისეთ ხალხათ, რომელსაც ნება აქვს თავის სამშობლოს საქმეები თავის სურვილისამებრ განაგოს.

## რა ახდენს ღვინოს და როგორ უნდა იმას შენახვა?

ვიდრე მიკროსკოპს *) მოიგონებდნენ, ბევრი საგანი და მოვლინებანი ბუნებისა იყვნენ დაფარულნი კაცის თვალთ-მხედველობისაგან, ზოგნი თავიანთი სიპატარაობით და ზოგნი თუ შესაძლებელნი იყვნენ სახილველათ, მიუდგომელნი იყვნენ გასარკვევად თუ რისგან შესდგებოდნენ. ეს ნაკლულევანება კაცის თვალის სინათლისა და მჭვრეტელობისა შეივსო სხვა ნუგეშით,—კაცს სამაგიეროთ მიეცა გამჭვრეტელობა აზრისა და გონებისა. კაცმა ზედმიწევნით იცოდა, რომ იმისი თვალთ-მხედველობა ვერ შეედრება ზოგიერთ ცხოველის მხედველობასთან, რომ უკანასკნელნი უფრო კარგათ და შორსაც ხედამენ, მაგრამ თავის ჭკვის ძალის შემწეობით იმან მოიგონა იმისთანა იარაღი, რომლითაც ეს ნაკლულევანება უხვათ შეივსო.

შეუსწავლელობა პაწაწა ნივთებისა, მცენარეებისა და ცხოველებისა შეადგენდა დიდ ნაკლულევანებას კაცობრიობის განათლებაშიდ მით უფრო, რომ ამ პაწაწკინტა ნივთებისაგან შესდგებოდა ყოველი არსება და ქმნილება, გარდა იმისა რომ ბევრ მოვლენას ახშობდა და გამოუკვლეველ ხდიდა. როგორცა ვსთქვით, კაცი რომ უღონო გახდა თავის მხედველობით, აზრს მისცა უპირატესობა და დიდის ხნის სჯით და მცდელობით გამოაჩინა იმგვარი საშუალება, რომლის შემწეობით ის პაწაწა თვალისგან უხილავი ნივთები ნათლათ და საკმაოდ ცხადათ გამოაჩინა ასე, რომ, არამც თუ მათი ხილვა, არამედ მათი დაწვრილებით განჩხრეკაც შესაძლო გახდა.

მიკროსკოპის გამოგონებამდი, ვინ დაიჯერებდა, რომ ერთ წვეთ გუბის წყალში არის მილლიონი ცხოველი, რომელნიც სცხოვრებენ, მოძრაობენ, ებრძვიან ერთი ერთმანეთს? და თუ იმ წვეთ წყალში იმდენი ცხოველი არსებობს, რაღა უნდა იყოს მათი აგებულება, ორგანოები, ძარღვები და ის ნაწილები, რომელნიც თვით დიდ გვამშიაც არ მოჩანან? ამგვარათ, ცხოველები სახილველი გახდნენ მიკროსკოპის შემწეობით. მაშასადამე დაუფასებელია ეს იარაღი და აღუწერელია მისი შემწეობა. მიკროსკოპმა დაგვიმტკიცა, რომ არ არის ქვეყნიერობაზედ იმისთანა დიდი ნივთი, რომ პაწაწა უხილავი ნივთებისაგან არ იყოს შედგენილი. თითქმის არცერთი მეცნიერება არ არის, რომ ამ იარაღს არ ხმარობდეს; ბუნების მეძიებლებისთვის ეს აუცილებელია, სამკურნალოში, ქიმიაში და თვით სამჯავროში—გამოძიებაში—მიკროსკოპი სასწაულებს ახდენს.

მე ზევით ვსთქვი, თუ ერთ წვეთ წყალში რამდენი ცხოველი მოიპოება. ყოველი ჩვენთაგანი ურიცხვს ჰყლაპავს დღეში ამ ნაირ ცხოველებს, სოკოებს, ობს და სხვას ამგვარებს. მეცნიერების გამოანგარიშებით, საშუალო რიცხვით, დღეში კაცი მარტო ჰაერით ჰყლაპავს ოცდა ათ მილლიონს (30,000,000). ახლა რამდენს საჭმელში, სასმელში ატანს? ვგონებ, ასი მილლიონი არ იქნება განზვიადებული რიცხვი. ყოველ ტანისამოსის გაბლერტაში, გაწმენდაში ჩვენ ვაშორებთ ათას მილიონობით. დილით მზის სხივი რომ გავხედავთ ოთახში, სარტყელსავით აყენებულს მტვერს, რომელშიაც ურიცხვი დატრიალებს რაღაც-რაღაცები, რა გგონიათ? ეს მტვერი თითქმის იმ პაწაწინტა ცხოველებისაგან, სოკოებისაგან და ობისგანაა შემდგარი. თვით ცოცხალ გვამში რამდენი იმგვარი ჭიები მოიპოებიან? სისხლში უმეტეს ნაწილს ჭიები შეადგენენ. იმ პაწაწკინტა ინფუზორიებში პაწაწკინტა ჭიები არიან, ასრე რომ ამათ ნახვისთვის თვით მიკროსკოპიც უღონო ჩნდება. ბერის (Бэръ) სიტყვით, დოქტორმა გასსანმა ერთ გირვანქა ფხვნილ შაქარში დათვალა ასი ათასი ინფუზორი. პროფესსორმა კამერონმა კი ორას სამოც-ათასამდინ (260,000). ერთი სიტყვით, ჰაერში, საჭმელში, სასმელში, თვით გვამში გარეთ თუ შიგნით ურიცხვი ცხოველები არიან (ინფუზორიები). ერთმა ინგლისის ექიმმა ეჯევორსმა დაამტკიცა, რომ ქალების შინიონებში, დალალებში და კაცების პარიკებში ურიცხვათ მილლიონებით ბუდრობენ პაწაწა ჭიები—გრეგარინები. ეს უხილავი ჭიები ისრე მუსრამენ ცოცხალ თმებს, რომ ადრე თუ გვიან სხვის თმების მტარებელს მელოტათ ხდიან.

ეს ზემო აღწერილი პაწაწკინი ჭიები: სოკოები, (ყურძნის ნაცარი), ობები (პურზედ რომ გამოვა) მრავლათ სცვივიან ღვინოში, სწრაფლათ მრავლდებიან და ღვინოს ახდენენ, ამღვრევენ, აშმორებენ, ძრკეს უჩენენ, აძმარებენ (თუმცა ამას სხვა მიზეზიც აქვს) და ამნაირათ გამოუდეგრათ ხდიან. ამგვარს შემთხვევაში მემამულეები და თვით მეცნიერები ბევრ ნაირათ ეცადნენ, მაგრამ კიდევ მარგებელი საშუალება ვერ უპოვეს ღვინოს, ხან რასა ხმარობდნენ, ხან რასა.

დიდი ხანია იცოდნენ, რომ ხარშვაში და ადუღებაში ის პატარა ცხოველები იხოცებიან. მაშასადამე ღვინის გადადუღებაში უნდა დახოცილიყვნენ. ეს აზრი მოუვიდა განათლებულ ფრანცუზს პასტორს, რომელმანც გამოსაცდელათ შინჯა ცოტა ღვინო. გადაადუღა სამოც გრადუსამდე ცელსიუს ტერმომეტრისა და ცხადათ დაამტკიცა, რომ მართლა ეს საშუალება შველის ღვინოს წახდენისაგან. ეს უბრალო საშუალება შევიდა ხმარებაში და ყველანი სარგებლობენ: როგორც არაყს ხდიან, კარგა გარეცხილ საარყე ქვაბებში ჩაასხამენ ღვინოს, დახურამენ და ადუღებენ ვიდრე 60°; შემდგომ გადასწურამენ დაფარებულ ჭურჭლებში და შეინახვენ. შემდგომ პასტორისა, მემამულემ და განთქმულ ღვინოების ვაჭარმა (სირაჯმა) პარანმა, პასტორის საშუალობის მაგივრათ, თავის ღვინოებში შეურია ტანნინი (таннинъ, дубильная кислота) და ამის შემწეობით ღვინოს არამც თუ ინახამს, თვით წამხდარ ღვინოს აბრუნებს, უცვლის წამხდარ გემოს და აძლევს მომეტებულ ძალას, გემოს და მოქმედებას, რომელიც აქვს კარგს წაუხდენელ ღვინოს. აგრეთვე იგი ამბობს, რომ გადატანის, შორს წაღების დროს, დიდხან შენახულობით, არამც თუ ხდება, უფრო კეთდებაო.

საშუალება, რომელსაც გვირჩევენ პასტორი და პარანი, ძნელი არ არის და ყველას შეუძლიან. რომ ჩვენთვის საჭიროა ამგვარი ცნობები,—ამას თქმა აღარ უნდა.

სტეფანე გამრეკელი.

*) მიკროსკოპი არის იარაღი, რომლის შემწეობით ყოველი მცირე ნივთი, რომელიც უბრალო თვალებით არ შეიძლება ინახოს თავის სიმცირით და სიპატარაობით, გამოჩნდების დიდათ ერთიდგან ორი ათასისოდენათ; მაგალითათ, უბრალო ბეწვი თმისა თითის სიმსხოთ მოჩანს იმ იარაღის ქვეშ. შორი საგნების სანახავათ ხმარობენ ტ ე ლ ე ს კ ო პ ს. ამ იარაღით შინჯამენ ფრიად განშორებულს ნივთებს, მაგ. ცას, ცის მნათობებს, განშორებულ მთებს და სხვას.

ს. გ.

# სამართალი

### ანტონ ფალიევისა და გაბრიელ ანდრონიკოვის საქმე.

თფილისის სამსაჯულო პალატაში 10 ნოემბერს ამ წლისას განხილული იყო, აპელაციურის წესით, სამოქალაქო საქმე მოქალაქის გაბრიელ ანდრონიკოვისა და მოქალა-

ქისავე ანტონ ფალიევისა ფულის თაობაზე. ეს საქმე თავდა-პირველ იყო დაწყებული უ. ანდრონიკოვისაგან ქუთაისის ოლქის სასამართლოში. გარემოება ამ საქმისა, შემოკლებული სიტყვით რომ ვსთქვათ, მდგომარეობს შემდგომში: 12 მაისის 1861 წლის საამხანაგო პირობისამებრ, უ. გაბრიელ ანდრონიკოვმა შეიყვანა თავის ამხანაგად ვაჭრობაში უ. ანტონ ფალიევი, მისცა მას სარმიად ოთხი ათასი მანეთი სხვათა შორის იმ პირობითა, რომ ამხანაგობრივის ვაჭრობის დაბოლოებისა და ანგარიშის გაწმენდის შემდგომ, ეს ოთხი ათასი მანეთი უნდა დაბრუნებოდა ისევ ანდრონიკოვსა, ხოლო დანარჩენი მოგება უნდა გაეყოთ მათ ორ თანასწორ ნაწილად; ყიდვა საქონლისა რუსეთში და თუ სხვა ქალაქებში, ეგრეთვე თვით წარმოება ვაჭრობისა ქუთაისში მათ საამხანაგო მაღაზიაში შეადგენდა უ. ფალიევის მოვალეობასა. შემდგომ, როგორც სჩანს საქმიდგან, მათ საერთო ვაჭრობამ, სხვა და სხვა გვარ კეთილ-გარემოებათა მოწყალებით, მიიღო ფრიად წარმატებრივი მსვლელობა ასე, რომ, 1869 წლის შინაურული ანგარიშით, მათმა ვაჭრობითმა აღებ-მიცემამ მიაწია სამოცდა ოთხი ათას შვიდას ოთხმოცდა ცხრა მანეთამდი (64, 789). ამ სუმმიდგან, მოვალეების დაკმაყოფილებისა და იმ ოთხი ათას მანეთისა გამორიცხვის შემდეგ, რომელიც უნდა დაბრუნებოდა უ. ანდრონიკოვს, წმინდა მოგება დაურჩათ ორთავეს თექვსმეტი ათას რვაას სამოცდა რვა მანეთი და ცხრა კაპეიკი (16,868 მ. 9 კ.).

ამ ზემოხსენებულ დროიდგან, ე. ი. 1869 წლიდგან, უფ. ანდრონიკოვის სიტყვით, უ. ფალიევი აღარ უჩვენებს მას არავითარ ანგარიშს საამხანაგო ვაჭრობის აღებ-მიცემაში. ამას გარდა, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, უ. ანდრონიკოვს მოჰყავს შემდგომი ფაქტი: ივნისის თვეში 1869 წ. ამხანაგობრივი ანგარიშის შედგენის შემდეგ, თვით ანტონ ფალიევის თანხმობით და პრისტავის მიქიევისა თანდასწრობით, დაბეჭდილი იყო მათი «კასსის სკივრი», რომელშიაც იყო შენახული თუ ნაღდი ფული და თუ მათი ვაჭრობის წიგნები, ანუ დავთრები, იმ ჰაზრით, რომ შემდგომში გაეღოთ მათ სკივრი და შეემოწმებინათ ნაწარმოები ანგარიში საერთო მაღაზიისა;—მაგრამ, უ. ანდრონიკოვის სიტყვით, ვითომც მეორე დღესვე ეს სკივრი გაალო ფარულად უ. ფალიევმა (გასაღები ჰქონია ფალიევს, ბეჭედი კი ანდრონიკოვს) და ამოიღო იქიდამ ფული და დავთრები იმ განზრახვით, ვითომც რომ დაეკარგა, მოესპო ანდრონიკოვისათვის ყოველივე კვალი ანგარიშის გაწმენდისა ამისთვის მაძიებელი, უ. ანდრონიკოვი სთხოვდა სასამართლოს სხვათა შორის: ა) გარდახდეს მოპასუხეს ფალიევს მის ანდრონიკოვის სასარგებლოთ ოთხი ათასი მანეთი, მისგან სარმიად შეტანილი, ხვედრი მოგებითურთ, მათი საამხანაგო პირობის პირველი მუხლის თანახმად; ბ) უ. ფალიევი ვალდებული იქმნეს უჩვენოს მას, ანდრონიკოვს, სწორი და ჭეშმარიტი ანგარიში მათ საამხანაგო ვაჭრობის წარმოებაში და გაუსწორდეს თანახმად მისა, რაიცა აღმოჩნდება იმ ანგარიშისაგან.

უფ ანტონ ფალიევმა უარ-ჰყო საფუძვლიანობა ესრეთის საჩივრისა და განაცხადა თვით მანვე უ. ანდრონიკოვისადმი პირიქით დავა (встрѣчный искъ) იმ საფუძველზედ, რომ უ. ანდრონიკოვმა მისგან წარმოდგენილი პირობის წერილის შემდგომ, შეკრა მასთან, ე. ი. ფალიევთან 6 ივნის 1871 წ. მეორე პირობის წერილი, რომლის აღსრულებას ის უარს-ჰყოფს. ამისთვის მოპასუხე თხოულობდა: ა) საჩივარში ანდრონიკოვს უარი ეყოს, ბ) ვალდებულად გახადეთ ანდრონიკოვი, რომ 6 ივნისის პირობის წერილი აღასრულოს და გ) მიენიჭოს მას, ფალიევს, სიმართლე, რომ მოსთხოვოს ყოველი ხარჯი, რომელიც შეემთხვა მას ამ საქმის თაობაზედ. უ. ფალიევისაგან წარმოდგენილი 6 ივნისის 1871 წლის პირობის წერილისაგან სხვათა შორის სჩანს: რომ ანდრონიკოვისა და ფალიევის საერთო ვაჭრობამ ათის წლის განმავლობაში მიიღო ესრეთი დიდი ზომა, რომ ორთავე ამხანაგთა ჰპოეს შესაძლოდ, გარდა მათი მთავარი მაღაზიისა, კიდევ გაეღოთ ქუთაისში ორი სხვა მაღაზიები, ერთი სახელად ბეგოვისა, ხოლო მეორე საამხანაგოთ არჯევანიძესთან, ამისთვის უ. ფალიევი ხსენებულ პირობის წერილში სცნობს უ. ანდრონიკოვს სიმართლის მქონედ ნახევარის მოგებაზედ, რომელსაც მოელოდინებოდენ იმ ორ ახლად გახსნილ მაღაზიებისაგან; შესახებ ვაჭრობისა მათ მთავარ მაღაზიაში, ამ უკანასკნელ პირობის წერილში მოხსენებულია ის, რაც დადებულია მათს პირველ პირობის წერილში—12 მაისის 1861 წ., რომლის გასამართებლად მსახურებს უკანასკნელი წერილი, მხოლოდ იმის დამატებით, რომ უ. ფალიევმა მიიღო თავის თავზედ მაღაზიის მოვალეების დაკმაყოფილება, რაისთვისაც უნდა მიელო ფალიევს მაღაზიიდგან ამ საჭიროებისათვის ოთხი ათას ორას ოთხმოცდა თექვსმეტი მანეთი (4,296 მან.)

ქუთაისის ოლქის სასამართლომ დასდო შემდგომი განჩინება: 1) გარდახდეს ანტონ ფალიევს გაბრიელ ანდრონიკოვის სასარგებლოდ თორმეტი ათას ას ოცდა ცამეტი მანეთი და ექვსი შაური (12,133 მ. 30) სარგებლით 24 ივნისიდგან 1871 წ. დაკმაყოფილებამდინ; 2) ანდრონიკოვს აქვს უფლება: ა) ნახევარ გავალებულებზედ მაღაზიიდგან, რომელიც ირიცხება სხვა და სხვა პირებზედ წერილებით ორი ათას ცხრა ას ორმოც მან. და ოცდა ექვსი კაპ. (2940 მ. 26 კ.) და ბ) მიღებაზედ ანტონ ფალიევისაგან იმა ფულისა და საქონელის ნახევრისა, რომელიც ერგო მას, ფალიევს, მიხეილ არჯევანიძისაგან ოქტომბრის 1871 წლის თფილისის სამსაჯულო პალატის გადაწყვეტილებისამებრ და 3) ანტონ ფალიევი იცნეს ვალდებულად, გარდაიხადოს თვისი საკუთრებიდგან ყოველი ვალი, რომელიც ადევს მათ საერთო მაღაზიას. დანაშთენ მოთხოვნილებაებში ანდრონიკოვს უარი ეყოს.— ამ განაჩენზედ როგორც ფალიევმა, ეგრეთვე ანდრონიკოვმან განაცხადეს უკმაყოფილება და ორთავემ გადიტანეს საქმე აპელლაციით სამსაჯულო პალატაში.

სამსაჯულო პალატაში ეს საქმე, როგორც ზემოთა ვსთქვი, 10 ნოემბერს განიხილეს. ანდრონიკოვის ხრით გამოცხადდა პალატაში უფ. ლოლუა, ფალიევის—უფ. რეიტერი. ამ ორთა ადვოკატთა თითქმის ორ საათ განგრძელებულ ბაასობაში წარმოუდგინეს პალატას დაწვრილებითი გარემოება ამ საქმისა, თვითეული მათგანი, რაც შეეძლო. მეცადინეობდა, უ. ლოლუა—რათა დაადვას ფალიევს უმეტესი გარდახდევინება ფულისა, ვინემც ოლქის სასამართლოს განჩინებითა, და ვალდებული გაეხადა ის უჩვენოს ანდრონიკოვს საამხანაგო ვაჭრობის ანგარიში ამა უკანასკნელ წლებისა; უ. რეიტერი მეცადინეობდა, რომ შემცირებოდა მის მრწმუნებელს, ფალიევს, გადახდა იმ ფულისა და მოვალეობისა, რომელიც განუჩინა მას ქუთაისის ოლქის სასამართლომ.

სამსაჯულო პალატამ, თითქმის ნახევარი საათის რჩევა-მოლაპარაკების შემდეგ, გამოაცხადა შემდგომი რეზოლიუცია: «მიეცეს ანდრონიკოვს სიმართლე, რომ მოითხოვოს ფალიევისაგან «აღსრულებითი წესით» (исполнительнымъ порядкомъ) ანგარიში მათ საზოგადო ვაჭრობაში 1-ს ფებერვლიდგან 1871 წ. მათი ვაჭრობის დაბოლოების დღემდინ და კვალად მონაწილეობა საერთო ქონების განყოფაში, თანახმად 6 ივნისის 1871 წ. პირობის წერილისა; ოთხი ათას მანეთზედ ძიებაში ანდრონიკოვს უარი ეყოს, რადგან უდროოთა სჩივის ამაზედაო. სამსაჯულო ხარჯი დაედოს ორთავე მხარეს თანასწორ და განჩინება ოლქის სასამართლოისა მოიშალოს.»

შეიძლება ამ რეზოლუციის წაკითხვის შემდეგ, მკითხველმა იკითხოს, თუ ვის სასარგებლოდ უფრო არის შემდგარი ეს განჩინება პალატისაო? ამაზედ მე უპასუხებ: ჩვენის ფიქრით პალატის განჩინება უფრო ანდრონიკოვისათვის არის სასარგებლო, ვინემ ფალიევისათვის. აი რაზედ ვაფუძნებთ ჩვენ ამ გვარ ჰაზრს: უ. ანდრონიკოვმა როგორც ოლქის სასამართლოში, ეგრეთვე პალატაში, მიიღო ის, რასაც ეძიებდა, ე. ი. ფალიევისაგან ანგარიშის მოთხოვნის უფლება. პალატის განჩინების საფუძველით, ანდრონიკოვს შეუძლია დაიწყოს ფალიევზედ ახლად საჩივარი ოლქის სასამართლოში საამხანაგო ვაჭრობაში 1 ფებერვლიდგან 1871 წ., ვიდრე მათი ვაჭრობის დაბოლოებამდინ ანგარიშის მოთხოვნაზედ. უ. ფალიევს მიეცემა ვადა ერთი თვიდგან ვიდრე სამ თვემდე წარმოსადგენელად ანგარიშისა (მუხლი 903- სამართლის კანონთა); მას შეუძლიან წარადგინოს ვადაზედ ანგარიში და შეუძლიან არ წარადგინოს. პირველ შემთხვევაში, ანდრონიკოვის მოთხოვნილება შესრულებული იქნება, რადგან ურთიერთობრივი სიმართლე მათი აიხსნება ფაქტებით; მაშინ ანდრონიკოვი, თავისი იმედისამებრ მიიღებს ფალიევისაგან უმეტეს მისსა, რომელიც დაადო მას ოლქის სასამართლომ, რადგან ამ უკანასკნელმა დააფუძნა თავისი განჩინება უმთავრესად იმ ანგარიშზედ, რომელიც მოხდა 1869 წ. მომჩივან-მოპასუხეთა შორის. მეორე შემთხვევაში ე ი. თუ ფალიევი არ წარადგენს ვადაზედ ანგარიშს, (911 სამართლის კანონთა) ანდრონიკოვს აქვს სიმართლე წარუდგინოს სასამართლოს თავისი დაახლოებითი ანგარიში იმ მმებისა, რომელსაც იგი ეძიებს მოპასუხესაგან. ამ ანგარიშებს შეამოწმებს სასამართლო, თვინიერ ფალიევის დასწრებისა, და აღმოჩენისამებრ ხსენებული ანგარიშთაგან დაადგენს განჩინებას.

ზ. ჩ-რკ-ვი.

## ნარევი

. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .

ბა, უკვირს, რომ ამისთანა ქვეყანაში [illegible] უფრო მომეტებული თავისუფლება არა აქვსო.

* * *

1876 წელს შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები განთავისუფლდა ინგლისის დამოკიდებულებისაგან. ამერიკულ გაზეთებში სწერენ, რომ ამერიკელები ამ წელს დიდი დღესასწაულობის გამართვას აპირებენ და სხვათა შორის ფილადელფიაში მსოფლიო გამოფენასაც ამზადებენო. ამბობენ, ეს გამოფენა ყველა გამოფენებზე უფრო დიდი და შესანიშნავი უნდა იქნესო.

* * *

პეტერბურღში მცხოვრებ ფრანცუზებსაც შეუდგენიათ ტიერთან გასაგზავნათ ადრესი და, როგორც ამბობენ, მალე გაგზავნიანო. ამ ადრესში გამოცხადებულია ამათი თანაგრძნობა ტიერის მოქმედების თაობაზე.

* * *

სამარის გუბერნიაში ერთს სალდათის ცოლს თოკით ჩამოუღრჩვია თავი. გამომძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ დედა-კაცს ქმარი დიდი ხნის წასული ყავდა სამსახურში და სანამ დაბრუნდებოდა, საყვარელთან ცხოვრებდა თურმე და იმის ხელში ორი შვილიც ჰყავდა. ბოლოს ქმარი დაბრუნებულა და ცოლს, როგორც სჩანს, შიშისაგან ან სირცხვილისაგან თავი მოუკლავს.

* * *


ბიბლიოგრაფიული

## განცხადება

**ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი**, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, გამოვიდა მეხუთე შეცვლილი გამოცემით და ისყიდება მელიქიშვილის სტამბაში და სასულიერო სემინარიაში; ჩქარა გაიგზავნება საქართველოს ქალაქებში; ფასი ყველგან ერთი შაური.

მასთან ცალკე დაიბეჭდა და გამოიდა გასასყიდათ დარიგება, თუ როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა წერა-კითხვა ანბანში და პირველ საკითხავ წიგნში, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგანვე; ამ ბროშიურასთან ისყიდება დიდი მოძრავი ასოები. ფასი დარიგებისა და ასოებისა ერთად ყველგან—ერთი შაური.

## იაფად ისყიდება

მთაწმიდის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, რომელიც შეიცავს ოც კარგს ოთახს თავისი საკმაო კუხნებით და სარდაფებით, და დიდის ეზოთი. მსურველს შეუძლიან იკითხოს იქვე სალის პატრონი ქვრივი შიშნიევისა.

ლოჭინში თ. დავით ციციშვილი, მეცნიერი მებაღე, ამით გამოუცხადებს საქართველოს მემამულეებს, რომ იმას აქვს ყოველნაირი საუკეთესო უცხო ქვეყნის ხეხილების და ხეების ნერგები, აგრეთვე ბოსტნეულის და ყვავილების თესლები და ჰყიდის ზომიერ ფასათ.

### ხეხილის და ხეების ნერგები

| | |
|---|---|
| ერთის წლისა — — — — | 33 კაპ. |
| ორი წლისა — — — — — | 40 კაპ. |
| სამი წლისა — — — — — | 60 კაპ. |

ვისაც ჰსურს დაიბაროს ეს ნერგები და თესლები, იმათ ვსთხოვთ მიმართონ თფილისს «სასოფლო გაზეთის» და «დროების» რედაქციაში, წერეთელის (უწ. დუბილერის), სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში, ან კუკიაში ელიზავეტის ქუჩაზე, თავად გიორგი ციციშვილის საკუთარს სახლში.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Декабря, 1872 г.* გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.